



გეორგიული ნიშნობა ხელოვნება | GEORGIAN BOOK ART



ქართული
წიგნის
ხელოვნება



GEORGIAN
BOOK ART

წიგნის გაფორმება
საბითუმლო შრიფტები 1888-2008
წიგნი I

BOOK DESIGN
TITLE TYPES 1888-2008
BOOK I

თბილისი • მერიდიანო
2013

სარჩევი | CONTENTS



პროექტის ავტორი და შემდგენელი: ნინო ჯიშკარიანი
 დიზაინი: სანდრო ჩხაიძე
 ტექსტის ავტორი: დავით ანდრიაძე
 თარგმანი: ნინო კაკიაშვილი
 ფოტო: ანი გაბიძაშვილი, სანდრო ჩხაიძე, მიხეილ როსტომაშვილი
 კონსულტანტები: გიორგი წერეთელი, ქეთევან კორძახია, მარიამ გაჩეჩილაძე
 ყდასა და ტიტულზე გამოყენებულია: ოთარ ჯიშკარიანის შრიფტი

ექლვნება ოთარ ჯიშკარიანის ხსოვნას

Project author and compiler: Nino Jishkariani
 Design: Sandro Chkhaidze
 Writer: David Andriadze
 Translator: Nino Kakiashvili
 Photo: Ani Gabidzashvili, Sandro Chkhaidze, Mikhael Rostomashvili
 Consultants: George Tsereteli, Ketevan Kordzakhia, Mariam Gachechiladze
 On the cover and title page type: Otar Jishkariani

In the memory of Otar Jishkariani

30	გრიგოლ ტატიშვილი Grigol Tatishvili	60	შოთა ნიორაძე Shota Nioradze	88	ტენგიზ მირზაშვილი Tengiz Mirzashvili
32	ევგენი ლანსერე Evgeni Lansere	61	თეიმურაზ ყუბანეიშვილი Teimuraz Kubaneishvili	90	სპარტაკ ცინცაძე Spartak Tsintsadze
33	იოსებ შარლემანი Joseph Sharleman	64	ალექსანდრე (შურა) ბანძელაძე Aleksandr (Shura) Bandzeladze	91	სამეული Trinity
34	ბენო გორდეზიანი Beno Gordeziani	65	ლევან ცუცქირიძე Levan Tsutskiridze	94	მამია მალაზონია Mamia Malazonia
35	ლადო გუდიაშვილი Lado Gudiashvili	66	გიორგი (გოგი) ოჩიაური Giorgi (Gogi) Ochiauri	96	გიორგი ავსაჯანიშვილი Giorgi Avsajanishvili
36	ლადო ქუთათელაძე Lado Qutateladze	67	ელგუჯა ამაშუკელი Elguja Amashukeli	98	ემირ ბურჯანაძე Emir Burjanadze
40	ლადო გრიგოლია Lado Grigolia	68	ზურაბ ნიჟარაძე Zurab Nizharadze	102	კარლო ფაჩულია Karlo Pachulia
48	იოსებ გაბაშვილი Joseph Gabashvili	69	ტენგიზ სამსონაძე Tengiz Samsonadze	103	ლორეტა შენგელია Loreta Shengelia
51	გიორგი გორდელაძე Giorgi Gordeladze	71	დავით დუნდუა David Dundua	106	მედეა ჯაბუა Medea Jabua
52	დავით (დუდა) გაბაშვილი Davit (Duda) Gabashvili	74	ოთარ ჯიშკარიანი Otar Jishkariani	110	გიორგი (გოგი) წერეთელი Giorgi (Gogi) Tsereteli
56	ნათელა იანქოშვილი Natela Ianqoshvili	80	ლეონარდო შენგელია Leonardo Shengelia	114	ნოდარ სუმბაძე Nodar Sumbadze
57	მარგარიტა თუშმალიშვილი Margarita Tushmalishvili	81	დimitრი ერისთავი Dimitri Eristavi	115	ნანა ჭურღულია Nana Churgulia
58	რომან მახარაძე Roman Maxaradze	82	გულდა კალაძე Gulda Kaladze	116	ირაკლი ფარჯიანი Irakli Parjani
		84	ჯემალ ლოლუა Jemal Lolua		



ჩართული ასოები "კ.წ.ს.", გრიგოლ ტატიშვილი
Introductory letters "K.C.S.", by Grigol Tatishvili

ქართული წიგნის ხელოვნების ისტორია ჯერ არ დაწერილა, მაგრამ ჩემი მოკრძალებული სურვილი იყო ამ ნაშრომით მისი ზოგადი მოხაზულობა გადმოემცა, მხატვრული გენერაცია, სპეციფიკური მიღწევები, სხვადასხვა სტილისტური მიმართულებები და სხვა. ეტაპების მიზანმიმართული ცვლა, მიმდინარეობები, მიმართულებების ბრძოლა, მოულოდნელი შემობრუნება, ილუზიების ნგრევა და ახლის აღმოცენება, უცაბედი აღორძინება როდესაც ჩამქრალი ტენდენციების... სხვა სიტყვებით, ეს არის ისტორია ნამდვილი ცოცხალი ხელოვნების, ჩვენ შემთხვევაში კი მისი ერთ-ერთი სახეობის, ნახატი შრიფტის ისტორია.

წიგნი არ არის ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვის მხოლოდ ტექნიკური საშუალება, ის მისი წარმოსახვითი, მხატვრული გამოხატულებაა. მხატვარს უნდა შეეძლოს სახვითი ელემენტების საშუალებით გადმოსცეს ნაწარმოების იდეური არსი, განწყობა, ხასიათი, შინაარსი და ასე შექმნას წიგნის მხატვრულ-დეკორატიული სახე-ყველას, ვინც იცის და უყვარს წიგნი, ახსოვს არაერთი ხელნაწერი თუ პოლიგრაფიული გამოცემა, რომლებიც ქართული ხელოვნების ისტორიაში დარჩნენ როგორც კულტურის ძეგლები და ცხოვრობენ, როგორც გამომცემლების, ამწყობების, ცინკოგრაფების, მხატვრების, რედაქტორებისა და საგამომცემლო საქმის ორგანიზატორების მაღალი ოსტატობის მაგალითები.

ქართული გრაფიკული ხელოვნების განვითარებამ დიდი გზა გაიარა. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში შექმნილი ქართული ხელნაწერი წიგნები გამოირჩევა თავისი მხატვრული გემოვნებით და წიგნის კულტურის დიდი ცოდნით, ასოთა იშვიათი გრაფიკულ-კალიგრაფიული შესრულებით. ქართული ხელნაწერი წიგნების შემქმნელი მხატვარ-კალიგრაფები დიდი ოსტატობით ამკობდნენ ხელნაწერებს ორნამენტებით და მინიატურებით. ასე დაუკავშირდა გრაფიკული ხელოვნება წიგნს და მისი განუყრელი ნაწილი გახდა.

წიგნში, ყველა მასში შემავალი კომპონენტი-ყდა, ფორზაცი, კონტრტიტული, ფრონტისპისი, ტიტული, შმუცტიტული, ჩანართი, თავსართი, ილუსტრაცია – ქმნის ერთიან ქსოვილს, სადაც ყოველი სახვითი ელემენტი დაკავშირებულია შრიფტთან. შეიძლება წიგნს არ ჰქონდეს ილუსტრაცია, მაგრამ წარმოუდგენელია წიგნის გაფორმება შრიფტის გარეშე.

შრიფტს უპირველეს ყოვლისა, რა მოხაზულობისა და ზომისადაც არ უნდა იყოს იგი, თავისი ზომის პროპორცია უნდა ჰქონდეს და ყოველ ასოს სწორი მდებარეობა უნდა

Georgian book art has never been written before. Nevertheless, I had a modest intent to sum up its general outline, artistic formation, specific achievements and various stylistic directions. There were intentional changes of phases, the movements, the struggle between the directions, unexpected twists, destruction of illusions and the birth of novelties, sudden revival of long-forgotten tendencies. In other words, this is the story of a real living art and in our case, the story of a type design.

The book is not just a technical mean for reading a literary composition. It is the imaginary and artistic expression of the story. The artist should be able to express the story's ideological essence, dispose, character, content and thus be able to create an artistic image of the book. Anyone who knows and loves a book, can remember handwritten or poly-graphic issues that have remained as cultural monuments in the history of Georgian art and serve as great examples of the mastery of publishers, binders, artists, editors and other organizers of the publishing business.

Georgian graphic art has come a long way of development. Take Georgian handwritten books, created back in the middle ages, which stand out with the artistic taste, a profound knowledge of a book culture and a rare conduct of the letter calligraphy. Georgian artist calligraphers displayed great mastery at decorating the hand-writings with ornaments and miniatures. Graphic art was linked to a book and became its inseparable part.

All the integral parts of the book – cover, flyleaf, title-page, frontispiece, title, fly-title, inset, header, illustration – unite into one whole texture, where each visual element is connected with the type. A book might not have an illustration but it is impossible to imagine a book without a type. The type, which has to be proportional, where every letter has to have its proper placement. The "freedom" of drawing, justifiable for calligraphy, is unacceptable while creating a type. The success of type depends on the trait moderation, its elasticity and individuality of each letter. It should be simple and easily read. Scientifically, type is not yet studied thoroughly and a separate research could be conducted. This catalog covers just the design of types on title-pages and titles, as these are the very parts of books where artistic mastery is displayed the most.

The success of a book master is defined whether the type is in harmony with the content, the literary form, the story style, the author's individuality, the category of edition and the type of lit-

ეჭიროს. ნახატის “თავისუფლება”, რაც კალიგრაფიული წერის დროს დასაშვებია, შრიფტის შექმნის დროს მიუღებელია. შრიფტების წარმატებას ხელს უწყობს შტრიხის ზომიერება, მისი ელასტიურობა და თვითოეული ასოს ინდივიდუალობა. ის უნდა იყოს სადა და ადვილად საკითხავი. შრიფტების საკითხი მეცნიერულად ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი, მაგრამ ეს ცალკე კვლევის საკითხია. მოცემულ ალბომში შეხვედებით მხოლოდ სატიტულო, ანუ სასათაურო მხატვრულ შრიფტებს.,რადგან წიგნის ამ ელემენტში მხატვარს მეტი შემოქმედებითი თავისუფლება აქვს და კარგად ჩანს მისი მხატვრული ოსტატობა.

წიგნის მხატვართა წარმატება უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება ჰარმონიაშია თუ არა შრიფტი შინაარსთან, ლიტერატურულ ფორმასთან, ნაწარმოების სტილთან, ავტორის ინდივიდუალობასთან, გამოცემის სახეობასთან და ლიტერატურის ტიპთან. ასეთი ჰარმონია მხატვრისგან მოითხოვს განსაკუთრებულ ოსტატობას, მუდმივ შემოქმედებით ძიებას, ეპოქისა და სტილის ცოდნას, მხატვრულ გემოვნებას... დღეს შრომატევად გრაფიკულ ტექნიკებსა და ხელით წერაზე თანდათან უარს ამბობენ მხატვრები. თანამედროვე ტექნიკურმა მიღწევებმა გაამარტივა ბევრი რამ, რამაც ნამუშევრების ხარისხის დაცემა გამოიწვია. განსაკუთრებით დაზარალდა შრიფტი. წიგნის სასათაურო წარწერები ხშირად არც კი იკითხება.

წლების განმავლობაში მხატვართა მრავალი თაობა მუშაობდა წიგნის გრაფიკაზე, რომლებმაც შექმნეს ბევრი ახალი და საინტერესო წიგნის გაფორმების სფეროში. ამიტომ ჩემი მოკრძალებული სურვილი იყო ალბომ-მონოგრაფიის გამოცემა, რომელშიც ნაჩვენები იქნებოდა შემოქმედებითი ძიებანი წიგნის გრაფიკასა და მხატვრული შრიფტის ხელოვნებაზე, იმ ცნობილი მხატვრების შემოქმედების მაგალითზე, რომლებიც დაუღალავად იღწვოდნენ და იღწვიან ამ დარგის განვითარებისათვის.

მასალა შეირჩა ისე, რომ კარგად ჩანდეს მხატვრის ინდივიდუალობა და წიგნის გაფორმებაზე მისი მრავალწლიანი პრაქტიკული მუშაობა. აქ წარმოდგენილია როგორც კლასიკური შრიფტებით, ისე კალიგრაფიული წერით შექმნილი წიგნების გაფორმების ნიმუშები.

მგონია, რომ ალბომში შესული ნამუშევრები ბევრს დააფიქრებს, ბევრს ბავშვობას გაახსენებს, ბევრს იქნებ სტიმულსაც გაუღვიძებს ახლის კეთებისათვის...

ნინო ჯიშკარიანი

erature. Such harmony requires a special mastery, a constant creative quest, a knowledge of epoch and style, an artistic taste...

Today, artists refuse to use painstaking graphic techniques and handwriting. Modern technology has simplified the process, which on other hand has decreased the quality of work, causing most damage to the type. The titles of books cannot be even readable at times.

For years, many generations of artists have worked on the book graphic design making many new and interesting achievements in the field of book decoration. That is why I wanted to present a monographous catalog, which would display the artistic findings on the book graphic design and the art of artistic type using the examples of those famous artists, which tirelessly worked and continue working for the development of this field.

The materials were selected in the way to show the artists’ individuality and their long-time practical works on book decoration.

Here are the examples of book decorations conducted as with classic types as well as with calligraphy.

I assume, that many works from this catalog will be thought-provoking, reminding of childhood for many and maybe, they will even serve as a stimuli for creating new...

Nino Jishkariani



დავით ანდრიაძე

David Andriadze

“ეს წიგნი მარტო წიგნია?!”

მონგოლებმა ბაღდადი რომ აიღეს და წიგნები მდინარეში გადაყარეს, ევფრატზე რამდენიმე დღე მელანი მიედინებოდა

1924 წელს, მაშინდელ ლენინგრადში, გამომცემლობა “რადუგას” გრიფით გამოდის სამუილ მარშაკის “Книжка про книжки”. წიგნი სერგეი ვასილევჩ ჩეხონინმა გააფორმა. ეს ის ჩეხონინია, ე.წ. “ავიტაციური ფაიფური” რომ გამოიგონა. “მირისკუსნიკების” მეორე თაობას ეკუთვნოდა ჩეხონინი, ნარბუტთან და მიტროხინთან ერთად. მისი შრიფტებიც საყოველთაოდ იყო ცნობილი. პუშკინის “მოცარტი და სალიერის” ყდა დღემდე რჩება 1910-იანი წლების რუსული გრაფიკის ეტალონად. “ზღაპრული ანბანიც” მახსენდება... და რასაკვირველია, განთქმული “თეატრალური ალფაბეტიც”... ჩეხონინის “წიგნი წიგნის შესახებ” კი, იმიტომაც გამახსენდა, რომ ეს წიგნიც, მკითხველი (თუ მასურებელი) რომ გადაშლის, წიგნის შესახებაა; წიგნი – წიგნის შესახებ; ქართული წიგნისა და ქართული ნახატი შრიფტის შესახებ...

ხელოვნებათა სინთეზის სფეროა წიგნის ხელოვნება. წიგნი ქანდაკებასაც ჩამოჰგავს და არქიტექტურასაც... არქიტექტურისა არ იყოს, წიგნიც დროში იკითხება. ფურცლიდან-ფურცლამდე ვმოძრაობთ წიგნში... ამ მოძრაობას თავისი დრო აქვს; თავისი სივრცე და ქრომატული აკორდიკაც... წიგნი – ლიტერატურული ნარატივის ხილული ხატია; და ეს ხატიც, კაზმული სიტყვის ბუნებას ასახავს. ტექსტის ხანიერების დასაბამსაც და ფინალსაც... წიგნის (გადა)თვალეიერებაც კი, მისი პერლუსტრაცია – უკვე მოგზაურობაა; თუნდაც, ყარიბობა ტექსტში. ანდა, – ტიმოთე გაბაშვილი მახსენდება – “მიმოსლვა”... მიმოსვლა იგი ტიტულიდან იწყება. და ასე მოვივლით მთელს წიგნს... ბოლოს, დასასრულის უამიც დგება. წიგნის ბოლო გვერდი რალაცნაირი სევდითაც გვავსებს

Is This Book Just a Book?

When Mongols took Baghdad and threw the books into the river, The Euphrates turned black with ink for several days.

In 1924, in Leningrad of that time, the publishing house “Raduga” issues “A Book About Books” of Samuil Marshak. The Book was illustrated by Sergey Vasilevich Chekhonin, the representative of the second generation of the “Miriskusniks”. His types were far-famed. That same Chekhonin, who invented the “agitative porcelain”. Chekhonin belonged to the second generation of along with Narbut and Mitrokhin. His Fonts were well-known as well. The cover of Pushkin’s “Mozart and Salieri” still remains a masterpiece of Russian graphic design of the 1910s. Recalling his “fairytales alphabet” too, and, by all means – the “theatrical alphabet”... And as about “A Book About Books” of Chekhonin, I recalled it just because the reader will find this book also about a book; A book – about a book; About a Georgian book and Georgian typography...

The art of book is the field of the synthesis of arts. The book resembles both the sculpture and architecture... Just like architecture, the book is read in time... We travel to the book from page to page... This movement has its time; its space... The book is a visual image of a literary narrative; Even just leafing through the book, its perustration is already a journey; The wandering begins from the title. And thus we wander through the whole book... Till it is the time for conclusion. The last page of the book fills us with some kind of sorrow and novelty anticipating thoughts... One leafy path winds up and starts another – the new one... And the lines are running, and running, till they stop. And the book becomes our memory... The book is the imagery field of literary text;

და ახლის მომლოდინე ფიქრებითაც...
 მიიწურება ერთი ფურცლოვანი თემშარა და იწყება მეორე –
 ახალი...
 სტრიქონები კი რბიან, “როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაუ-
 რები”...
 რბიან... რბიან... დაბოლოს, ჩერდებიან.
 ასევე რჩება წიგნიც ჩვენს მოგონებად...
 სტრიქონთა ჰორიზონტალებსა და დიაგონალებში დაუნ-
 ჯებულ მოგონებად...
 წიგნი – ლიტერატურული ტექსტის გამოსახულების ველია;
 თავისი მაკეტით, გარეკანით, შრიფტით, ილუსტრაციებით...
 და ყოველივე ეს, სიბრტყეზეა განლაგებული:
 განყენებული და აბსტრაქტული შრიფტიდან – კონკრე-
 ტულ ილუსტრაციებამდე სიბრტყეზეა გან-ფენილი...
 ამასწინათ, სანკტ-პეტერბურგის ელიტარული გამომცემ-
 ლობის – “Редкая Книга” – კატალოგი ვნახე.
 საოცრებაა!



ეს წიგნები ნამდვილი არტეფაქტებია; უნიკალური არტე-
 ფაქტები.
 “გილგამეში” თიხის ყდამია ჩასმული;
 ძველი ელადის პოეზია – მარმარილოში;
 ლერმონტოვის “Герой нашего времени” – პორუჩიკის
 ნამდვილ მწვანე მუნდირში; თავისი წითელი სარჩულით.
 რა ფუფუნებაა!
 ეს წიგნები აღარცაა – უფრო წიგნთა მემორიალებია;
 წიგნთა მონუმენტები...
 ძველი ქართული (მათ შორის, “ძველი ქართული საბ-
 ჭოთა”) წიგნიც მემორიალია უკვე...
 და მისი მოგონებაცაა, როგორც ადრე იტყოდნენ
 “წინამდებარე წიგნი”;
 წიგნი – წიგნის შესახებ.
 ასე ვიგონებთ ჩვენი ბებია-ბაბუებისა თუ მშობლების,

With its model, cover, type and illustrations...
 And all of these is orchestrated on a surface:
 From the separate and abstract type to concrete illustrations...
 Recently, I looked through the catalogue of “Redkaya Kniga” from
 the elite publishing house of Saint Petersburg.
 It is amazing!
 These books are real artefacts; unique artefacts.
 “Gilgamesh” is bound in a clay cover;
 The poetry of ancient Elada - in marble;
 “Hero of Our Time” of Lermontov comes in the cover made with
 real green tunic cloth, backed with a red lining.
 What a splendor!
 These books do not exist anymore – there are only the book me-
 morials; the book monuments...
 Old Georgian (including “Old Georgian Soviet”) book is already
 a memorial too...
 This is how we remember the books of our grandparents, our
 parents, or even of our childhood...
 The books with their nostalgic supercovers, avant-titles and
 schmutztitels, with their uppercase letter-symbols, prefix-suf-
 fixes and illustrations;
 With parchments displayed over illustrations;
 Take colorful gauze ribbons attached to the spine edges...
 I myself have also bound a miniature book...
 There was a magazine issued in the Soviet Union – named
 “Polygraphy”.
 It was printed on an expensive paper and the printing itself was
 expensive too.
 So this magazine had an insertion – a model mock-up from
 which you could bind a book yourself.
 That’s how I bound Pushkin and Akhmatova, Nabokov and
 Pasternak...
 I have happened to keep the catalogue of the first issues of
 Gutenberg printing-house too...
 And I still keep those handmade booklets.

The art of the book adornment is delivering the book form and
 the whole hygiene of perception, which is equally essential as
 for the children’s books as well as for the encyclopedia.
 This was the hygiene kept by Grigol Tatishvili.
 His baroque type, with its somehow naïve aesthetic, still amazes us.
 The header letters engraved in wood for Iakob Gogebashvili’s
 “Deda Ena” or “Bunebis Kari” (we have to mention “Russkoe Slovo”
 too!) are the pioneer examples of ornamental graphic design.
 As about the crown of Tatishvili’s art – the 1888 Kartvelishvili’s
 issue of “the Knight in the Panther’s Skin” – for this rarity, the
 artist presented the whole theatre of header letters and included
 it in the ensemble of decorations.
 Mikheil Kipiani created the so-called “Viennese” font, which had
 become so popular, that it is now known as “Chveulebrivi” (trans-
 lated as “regular”) in our typographic industry.
 In 1922, Nikoloz Baratashvili’s one-volume issue was printed in
 Tbilisi.

ანდა ჩვენივე ბავშვობის წიგნებს...
 წიგნებს, თავიანთი ნოსტალგიური სუპერყდებით, ავანტი-
 ტულებითა და შმუცტიტულებით, საზედაოასო-წიშნებით,
 თავსართ-ბოლოსართებით და ილუსტრაციებით;
 ილუსტრაციებზე წაფენილი პერგამენტებით;
 გნებავთ, ყუის თავსა და ბოლოში მიწებებული ნაირფერი
 მარლის “ბაფთებით”...
 ეგ კი არა, თავადაც ამიკინძაცს მინიატურული წიგნი...
 ჟურნალი გამოდიოდა საბჭოთა კავშირში – “Полигра-
 фия” ერქვა.
 ძვირფას ქალღღეღე იბეჭდებოდა და ბეჭდვაც ხარისხიანი იყო.
 ხომ უნდა ეჩვენებინათ მსოფლიოსთვის, როგორი სანი-
 მუშო პოლიგრაფიული მრეწველობა იყო მძლეთამძლე
 ზესახელმწიფოში?!
 ჰოდა, ამ ჟურნალში იყო ჩანართი – წინასწარ დამაკეტე-
 ბული მოდელი, რომელიც თავად უნდა გექცია წიგნად.
 ასე აკინძე პუშკინი და ახმატოვა, ნაბოკოვი და პასტერნაკი...
 გუტენბერგის პირველი სტამბური გამოცემების კატა-
 ლოგიც შემომჩა...
 ეს კუსტარული “წიგნაკები” ახლაც მაქვს შემონახული.

დღემდე 1961 წელს გამოცემული ერთტომეულით ვკით-
 ხულობ ვაჟა-ფშაველას.
 ლადო გრიგოლიასეული გაფორმებით...
 წიგნი, ამ უებრო გემოვნების ოსტატისთვის არა ყოფილა
 მხოლოდ შემკობის ხელოვნება.
 ეს იყო პროცესი წიგნის ფორმის მშობიარობისა;
 წიგნის ფორმისა, ფორმატის კომპოზიციებით...
 აი, წიგნის მთელი (ვინ)ეკოლოგია...
 და აღქმის მთელი ჰიგიენა, რომელიც ერთნაირად სჭირ-
 დება საბავშვო წიგნსაც და ენციკლოპედიასაც...
 ამ “ჰიგიენას” იყო, რომ იცავდა გრიგოლ ტატიშვილი.
 მისი ბაროკალური “შრიფტი” ახლაც გვხიბლავს, თავისი,
 ცოტა არ იყოს, ნაივური ესთეტიზმით.
 ხეზე გრაფირებული თავსართი (ანდა, ტატიშვილისეულად –
 “საზენაო”) ასოები იაკობისეული “დედა ენისა” თუ “ბუნე-
 ბის კარისათვის” (ნურც “Русское слово”-ს დავუკარ-
 ვავთ!) შეთხზული, ორნამენტული გრაფიკის პიონერული
 ნიმუშებია.
 ტატიშვილის ხელოვნების გვირგვინს – 1888 წელს გამო-
 ცემულ, ქართველიშვილისეულ “ვეფხისტყაოსანს” რაც
 შეეხება, ამ რარიტეტისათვის მხატვარმა უკვე, თავსართ
 ასოთა მთელი თეატრი წარმოგვიდგინა და ისიც მორთუ-
 ლობათა ანსამბლში ჩართო.
 ვილას ახსოვს მიხეილ ყიფიანი?
 არადა, სწორედ მას ეკუთვნის შრიფტი, ძველად “ვენურს”
 რომ ეძახდნენ და იმდენად მასობრივი გახდა, რომ
 “ჩვეულებრივი გარნიტურის” სახელითაც კი დამკვიდრდა
 ჩვენს “შრიფტულ მეურნეობაში”.
 1922 წელს თბილისში ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთ-
 ტომეული დაისტამბა.
 წიგნი იოსებ შარლემანმა გააფორმა.
 ყდასა და ტიტულში აშკარად იგრძნობა “გადამთიელი”



მაესტროს პიეტეტი ძველქართული ხელნაწერი ფოლიანტებისადმი. ქართული შრიფტი ყოველგვარ სემანტიკურ ნიაღვრებს მოკლებული სტილიზაციით იყო წარმოდგენილი. ერთი წლის შემდეგ შარლემანის მონაფე ლადო გრიგოლია თეიმურაზ I-ს თხზულებათა გაფორმებას მოჰკიდებს ხელს და სწორედ აქედან იწყება მისი პილიგრიმობა ქართულ შრიფტთან. 1935 წელს გრიგოლია კ. გამსახურდიას “მთვარის მოტაცებას” აფორმებს; ორი წლის შემდეგ კი, ლადო ქუთათელაძესთან ერთად, “ვეფხისტყაოსნის” საიუბილეო გამოცემას ანდობენ. უხსენებელ 37-შივე, გრიგოლიას “ვეფხისტყაოსნის” ვახტანგისეული გამოცემისათვის ავალბენ შრიფტის შექმნას. გრიგოლიასეული შრიფტი არასოდეს არაა სტილიზაცია – ეს არსებითად პირველ ქართულ ნაბეჭდ წიგნთა სინთეზია XVII-XVIII საუკუნეთა ხელნაწერი წიგნების კალიგრაფიასთან.



1612 წელს რომ “დაიბეჭდა სტამბაში პირველ” ვახტანგ VI-ს გამოცემული წიგნები, მათი შრიფტი სწორედაც იმ ხელნაწერთა პროტოტიპებს ეფუძნებოდა. აი, გრიგოლიამ კი, ორივე პროტოტიპი – ქართული ხელნაწერიც და პირველსტამბურიც, სტილურ (და არა სტილიზატორულ) ქურაში გადაადნო და შექმნა “ქართული აკადემიური შრიფტი და მისი 369 ვარიაციათა სისტემა”. ქართული წიგნის ხელოვნების ნამდვილი არისტოკრატი იყო ლადო გრიგოლია; დიდი ანალიტიკური გაქანების მხატვარი, რომელმაც პირველად დაუმორჩილა შრიფტი გრაფიკული პლასტიკის ორგანულ ბუნებას; ოსტატი, რომელმაც ქართული ანბანის არტისტული ინტერპრეტაციის ისეთ კოდს მიაგნო, როდესაც ასო-ნიშანთა დეფორმაცია წიგნის, როგორც სახილველის ვიზუალურ

The book was designed by Joseph Sharleman. The cover and title vividly express the master’s awe towards the foliants with old Georgian script. Georgian type was presented with the stylization sans any kind of semantic deviations. A year later Sharleman’s apprentice Lado Grigolia undertakes the design of the stories of Teimuraz I; that is when his pilgrimage to Georgian type begins. In 1935, Grigolia starts designing “Kidnapping of the Moon” of Konstantine Gamsakhurdia; Two years later, he is entrusted to the anniversary edition of “The Knight in the Panther’s Skin”, together with Lado Qutateladze. In 1937, Grigolia is asked to create the type for “The Knight in the Panther’s Skin” – the Vakhtangian edition. Grigolia’s type is never a stylization – it is essentially a synthesis of first Georgian printed books with the handwritten books of XVII-XVIII centuries.

Grigolia managed to merge both - Georgian handwriting and first-printed prototypes and created “Georgian academic type and its system of 369 variations”. Lado Grigolia was a true aristocrat of the Georgian book art; The artist with wide analytical range, who was first to yield the type to the organic nature of graphic design; He was the master, who uncovered the code of the artistic interpretation of Georgian alphabet; while applying this code, the letter-symbols transform the book’s visual order into an object of “reading”; and in this “object” he intertwines as the decorative expression of the Georgian type as well as the spatial and rhythmic positions. Grigolia presents the book primarily as a live body; The cover, the title and the type are the joints of this body... The graphemes are deduced to plastic formulas. The guide of “Lado Grigolia’s book” is its cover and title. The cover defends the text from the outer world; The cover leads the first-time viewer of the book into its contents. The cover is the book’s overture. With this definition, the cover is the acknowledged symbol, where color, drawing and composition have to correspond with the plot.

The cover is also a signal for recognising and remembering the book. The title is the passport of the book – its “identification” element. However we do not use title to differentiate one book from another. The title is not targeted to attract attention. This is the function of a cover. The title predicts the typization of the book, while the cover – its individualization... Each page of the “Grigolia book”, beginning from the cover-title, is read as a “well-tempered clavichord”. Refined taste and the sense of artistic tact do not allow the master to immerse into cheap stylization or the extremes of incoherent amalgams. With Grigolia’s paradigm, the inner space of the book is divided

რიგს უშუალო “ნაკითხვის” საგნად აქცევს. მერე ამ “საგანშივე” ჩაანწავს ქართული შრიფტის სემანტიკის თანშობილ დეკორატიულ ექსპრესიასაც და სიბრტყულ, სიერცულ და რიტმულ პოზიციებსაც. ლადო გრიგოლიას ასო-ნიშნური (გან)რიგი საგნობრივად წარმოსადგენი “წინადადებების” დაუვიწყარი ფეიერვერკია. გრიგოლია წიგნს პირველ რიგში გვანჯღის, როგორც ცოცხალ სხეულს; ამ სხეულის სახსრებია ყდაც, ტიტულიც, შრიფტიც... პლასტიკურ ფორმულებამდე დაყვანილი გრაფემები. “ლადო გრიგოლიას წიგნის” გზამკვლევი ყდა და ტიტულია. ყდა იცავს ტექსტს გარე სამყაროსაგან; ყდას შეჰყავს წიგნის პირველად მხილველი მის შინაარსში. ყდა წიგნის უვერტიურაა. ამ გაგებით, ყდა – გააზრებული ნიშანია, სადაც ფერი, ნახატი თუ კომპოზიცია შინაარსს უნდა შეესატყვისებოდეს. ყდა – მოცემული წიგნის გამოცნობისა თუ დამახსოვრების სიგნალიცაა. ტიტული კი, პასპორტია წიგნისა – მისი “საცნობარო” ელემენტი. თუმცა, ტიტულით სულაც არ ვანსხვავებთ ერთ წიგნს მეორისგან; ტიტული ყურადღების გამახვილებაზე არაა გათვლილი. ეს – ყდის ფუნქციაა. ტიტული წიგნის ტიპიზაციას მოასწავებს; ყდა კი, ინდივიდუალიზებას... “გრიგოლიას წიგნის” ყოველი გვერდი ყდა-ტიტულით დაწყებული, კარგად ტემპერირებული კლავირივით იკითხება. არადა, სწორედ ეს “ტემპერირება” გვესაკლისება გრიგოლიასთან აფილირებულ, თავისთავად კარგ ოსტატებთან. დახვეწილი გემოვნება და მხატვრული ტაქტის გრძობა არ აძლევს ნებას მაესტროს, იაფფასიანი სტილიზაციისა თუ უთავბოლო ამალგამების უკიდურესობაში გადაეშვას. სხვათა შორის, ქართველ მწერალთა გრიგოლიასეული სახეებიც მათი სახელებივით “იკითხება” – აკაკი, ვაჟა, გრიგოლ ორბელიანი... გრიგოლიასთვის წიგნის გაფორმების კამერტონი მაინც შრიფტია – სკულპტურულად აღსაქმელი, მოცულობითი ლიტერებიც და მათი სიბრტყობრივი მოდულაციებიც ერთ თარგზეა გამოჭრილი... ამიტომ დაუდო გრიგოლიამ სათავე ქართულ გრაფიკულ ლიტერ-ატურას; “ლიტერიდან” არ მოდის ლიტერატურა?! და ქართული სიტყვაც – “წიგნი” კორნელი კეკელიძისამებრ, ბერძნული “სიგნუსიდან” არ მომდინარეობს?! ეს “სიგნუსის ხელოვნება” ვისთვის შემოქმედებითი ანტრაქტისას “პურის ფულის” შოვნის საშუალება იყო და ვისთვის, მთელი რიტუალი წიგნთან – ქართულ წიგნთან და ქართულ სიტყვასთან შეხებისა. სიტყვას კი, დაწერილ (და დაბეჭდილ) სიტყვას, სხვა წონა აქვს. და ამ წონას ბევრწილად განაპირობებს ასო-ნიშანთა გარეგანი “კალოსიც” და მისი პლასტიკური “მელოსიც”... ანუ სილამაზეც და ტკიბლხმოვანებაც...

with the traditional-ornamental design. These are the headers, the endings, the initials... Ornamental frames (on the main title, rarely on the cover) are another “subject”. And all these shapes of ornament, become the parts of the book’s “orderly system”. Even more, ornament adorns the type, letting us to read reasonable parts of text with a relevantly “new eye”. The type includes some rhythmic, proto-ornamental substance too. This is the very code of Grigolia’s book art, which is meant not for the fast, reading marathon, but for perceiving the text in a structured discretion and rhythmic deceleration. Nevertheless, the pitch of book design for Grigolia remains the type, which has to be perceivedsculpturally, the spatial letter-symbols and their surface modulations are cut on a single pattern... That is why Grigolia is a founder of Georgian graphic liter-ature; As literature is derived from “litera”.



Georgian word “Tsigni”, meaning book, as well, is derived from the Greek “signus”. This “signus art”, during the creative interludes for some, was either the means for making some money and for some – it was the whole ritual of touching the book – a Georgian book and Georgian word. The word, the written (and printed) word has a different kind of value. And this value is greatly defined with the outer “kalos” and its plastic “melos”... In other words – with beauty and delight... A book is the symbol of revelation, an instrumental icon of initiation. This kind of initiation is represented with Ezekiel. There is unbelievably paradoxical requirement in this “book”:

ასეა, ასო-ნიშანს თავისი “სონორული აკორდიკა” აქვს; თავისი მეტაგრაფემული “მუსიკობანი”... ნიგნი გამოცხადების სიმბოლოა; ნიგნი ინიციაციის ინსტრუმენტული ხატია. ამგვარი ინიციაციაა რეპრეზენტირებული იეზუკიელთან. წარმოუდგენლად პარადოქსული მოთხოვნაა ამ “ნიგნში”: ნიგნის (გრაგნილის) საკრალურ საზრისთან მისაახლებლად უნდა... შეიჭამოს!

ამ ინიციაციის მეტაფორიკა აპოკალიფსშიც მეორდება. იგულისხმება პასაჟი (10. 9,10), რომლის მიხედვითაც იოანე ღვთისმეტყველი მიეახლება ანგელოზს და ნიგნს თხოვს.

ანგელოზი კი მიუგებს: აილე და შეჭამე იგი; და გაგიმწარებს მუცელს, მაგრამ პირში იქნება თაფლივით ტკბილი.

ეს ინიციაციური მეტაფორიკა ბიზანტიურ მწერლობაში ახალი ვარიაციებითაა გამდიდრებული.

“რომანოზ მელოდოსის ცხოვრებაში” უხმო და უსმენო გმირი, შესვამს (სიც) რა ღვთისმშობლის მიერ შემოთავაზებულ ქარტიას, სასწაულებრივ შეიძენს ტკბილ-ხმოვანების ნიჭს.

ანალოგიური ლეგენდაა შემონახული ეფრემ ასურის შესახებაც.

სერგეი ავერინცევისა არ იყოს, ბიზანტიელი უნდა იყო, რათა წარმოიდგინო, თუ როგორ სვამენ ქარტიას ანუ პერგამენტის “ყლუპს”.

ქარტიას არა, მაგრამ დაწერილ ასოთა შესმის პროცედურას კი “მართლაც” შეიცავდა ერთი ბიზანტიური მაგიური რიტუალი.

ყმანვილის მიერ ცოდნის მისაღებად “რეკომენირებული” ყოფილა დისკოზე, მელნით ბერძნული ანბანის 24 ასო-ნიშნის გამოყვანა, მერმე, ღვინით გადარეცხვა და “ცოდნასმონყურებულათავის” დასალევად მიწოდება.

ლეგენდაც და რიტუალიც ერთ რასმე ითვალისწინებდნენ: დამწერლობა ნივთიერად უნდა გაჟღენთილიყო ადამიანის სხეულში, მისი “სომას” ნაწილად უნდა ქცეულიყო, მის სისხლში უნდა გამჟღარიყო, რათა ადამიანის ესენცია ასოთა ტრანსცენდენტურ სუბსტანციას ზიარებოდა.

ქართული ანბანი, ქართული დამწერლობა, ქართული შრიფტიც ასევეა გამჟღარი ჩვენს წარმო-სახვით მახსოვრობაში;

ამ ანბანის რეინკარნაციებია “ნიგნის ხელოვანთა” არა ერთი და ორი თაობის ძიებანი.

გასაგებია, რომ სტალინურმა “სოცრეალისტურმა კანონმა” ქართული ნიგნიც და ქართული შრიფტიც არტახებში, გნებავე, გისოსებში ჩასვა.

ტფილისური ფუტურისტული ნიგნის ეპატაჟური ექსპერიმენტებიც უიმედოდ “დაიბლოკა”.

ფუტურისტების “არალინეარული” ასო-ნიშნები ისევ ერთ მწყობრში ჩააყენეს.

ასო-ნიშანთა მაგიას კი, მაინც ეძებდნენ ოსტატნი;

ქართველნიცა და არაქართველნიც;

გრიგოლიაცა და ლანსერეც... “განითლდა” ქართლი და ტფილელ ფუტურისტებსაც ალ-

მაცერი ცქერა დაუწყეს;

In order to get closer to the sacred meaning of this book (scroll), it has to be... eaten!

The metaphor of this initiation is repeated in Apocalypse. Meaning the passages (10. 9, 10), where St. John approaches the angel and asks for a book and the angel answers: “Take the book and eat it up. And it shall make thy belly bitter: but in thy mouth it shall be sweet as honey”.

This initiational metaphor is enriched with new variations in the Byzantine writings.

In “the Life of Romanos Melodos”, the voiceless and tone-deaf character drinks the scroll as commanded by the Mother of God and he miraculously acquires a sonorous voice.

There is an analogous legend about Ephrem the Syrian.



As Sergey Averintsev would put it, you probably have to be a Byzantine to imagine drinking the charter or making a “sip” of parchment.

If not the charter, the process of drinking written letters was “indeed” included in one Byzantine magic ritual.

In order to receive knowledge, it was “recommended” for the youth to write 24 letter-symbols of Greek alphabet on a disk with ink, then to wash it with wine and offer the drink to the ones that were thirsty for knowledge.

Both, the legend and the ritual provided that the writing had to be soaked within the human body, becoming its part, settling in blood, so that the human essence would blend with the transcendental substance of letters.

Georgian alphabet, Georgian writing and Georgian type too is similarly blended in our visual memory;

The quests of the “book artists” of many generations are the rein-

ვალერიან გაფრინდაშვილი წერდა, მთელი კულტურის რიტორიკა და ერუდიცია მიმართულია სახელების წინააღმდეგო.

მერე კი, დასასრულისკენ, ამას ამატებს:

“სიტყვები, როგორც მონები ნახავენ თავის სპარტაკს და დამარცხებენ არისტოკრატულ სახელებს, მაგრამ ეს დამარცხება იქნება დროებითი. ყოველ სიტყვას იმედი აქვს, რომ სახელის წოდებას მოიხვეჭს ოდესმე”.

სახელის წოდება!

“ქართულ საბჭოთა გრაფიკაშიც” აღმოჩნდნენ მონები, რომლებმაც ნახეს თავისი სპარტაკი და დამარცხეს არისტოკრატული ასონი.

“პლებური” ეიდოსი მოეძალა ქართულ შრიფტს.

თუმცა, თეატრისა არ იყოს, ესეც აუცილებელი ეტაპი იყო ამალეებული გმირულ-რომანტიკული სტილიდან ყოველდღიურობის რიტორიკაზე გადასასვლელად.

სწორება კი, ნებსით თუ უნებლიედ, მაინც გრიგოლიაზე კეთდებოდა;

ლადო გრიგოლიას არისტოკრატული შრიფტი თავისი “სიმალლით” კიდევ იზიდავდა მხატვართ და კიდევ განიზიდავდა...

ქართული “ნიგნის სცენაზე” თითქოსდა სხვა ანბანი თამაშდებოდა;

და არა მხოლოდ ქართული ნიგნისა...

შრიფტსა და გარნიტურს თანდათან “ნაწერი” ჩაენაცვლება.

ცოცხალი “მეტაბოლური” ხელ-ნაწერი...

ანდა, ხელნაწერის იმიტაცია...

“კულტურული” შრიფტი “ბუნებრივმა” შრიფტმა შეცვალა.

ხელნაწერი კი, მისდაუნებურად, თავად ხდებოდა მხატვრულად “გამოყვანილი” და მერმე, დაბეჭდილი ასოების სიმულაკრი.

ახლა კი, თვალსა და ხელს შუა გაქრა და ცოცხალი ასოს მაგიაც დაიკარგა.

კომპიუტერის მკვდარი კლავიშებით ეძებენ ლიტერებს, რომელიც გრაფიკულ ლიტერ-ატურად ველარ იქცევა...

ჟაკ დერიდა წერდა თავის “გრამატოლოგიაში”:

“ჩვენი წერა და ჩვენი კითხვა ჯერ კიდევ ბევრწილად არიან განპირობებულნი ხელის მოძრაობით. საბეჭდმა მანქანებმა სივრცის სტრუქტურა ვერ გაათავისუფლეს ხელის შესტის, როგორც წერიითი იარაღის უშუალო დაქვემდებარებისაგან”.

აქედან ფორმულა: წმინდა კითხვის სივრცე იმთავითვე გონებაჭვრეტითია, წმინდა წერის სივრცე კი, დასაბამითვე, გრძნობადი აღქმისათვის – ხელმისაწვდომი.

ხელ-მისაწვდომი!

შრიფტი, ანბანის მსგავსად, ერთი და იმავე გრაფიკის გამოყენებით, მართლაცდა პრეზენტაბელობის, როგორც ანალიტიკური რაციონალობის პროგრესის ნიშანთა გარნიტურაა და ამ პროგრესის დამატებით ხარისხს მოასწავებს.

და ჩვენც, ვხდებით მოწმენი იმისა, თუ როგორ გამოიხშირება სტიქია წმინდა აღმნიშვნელისა, რომელიც თავისთავადაა მოკლებული მნიშვნელობას.



მნიშვნელობის ასეთი არქონა უნივერსალობის ანუ რაციონალობის ნეგატიური, აბსტრაქტული, ფორმალური მხარეა.

ამგვარი ნაწერის მნიშვნელობა გაორმაგებულია – იტყვის დერიდა.

შრიფტის პოსტსემიოტიკაც ამგვარ ამბივალენტობას ხომ არ გულისხმობს?

ფერწერა, და საერთოდ, სახვით ხელოვნება, ანბანის დარად, რომელიღაც გარკვეულ ენასთან არაა “მიბმული” – ნებისმიერი გრძნობადი საგანი შეუძლია მოგვანოდოს და ამიტომაც გვევლინება უნივერსალური დამწერლობის სახეობადო...

ნიგინც არაა განსაზღვრულ ენასთან “მიბმული” და როგორც ფერწერა დისტანცირდება მოდელისაგან, შრიფტიც ასევე უცხოვდება ანბანისაგან და ისიც უნივერსალურ დამწერლობად გვევლინება.

შრიფტი ნიგინის კონსერვატორული ელემენტია – ინოვაციური ფორმებისადმი სიძუნით გამოირჩევა.

და შრიფტის ეკონომიკაც ამაშია...

ნიშანთა პროპოციების უმნიშვნელო დარღვევაც კი, იმთავითვე მხატვრულ პრეცედენტად აღიქმებოდა.

“ზადიდან” უმცირესი ამოვარდნა და შტრიხის გასქელებაც კი, ერთგვარი რევოლუცია იყო.

ეგ კი არა, ისტორიულ საზულობებთან პერიოდული ინვოლუციაც კი, ორგანულია და არქაიზმს (ანდა ანაქრონიზმს) სულაც არ მოასწავებს.

შრიფტის საფუძველში ხომ, ანბანის საუკუნეობრივად ნაცად-ნაწრობი სისტემაა გარინდებული!

ერთხელ და სამუდამოდ გარანდული ფორმა...

გასაგებია, რომ ასანყობი (რესპ. ასაკრეფი) შრიფტების რეპერტუარი ლიმიტირებულია.

სამაგიეროდ, სატიტულო შრიფტი გაცილებით ღიაა აპრობირებული პროტოტიპების ვარიანტობისთვის და შრიფტთა ახალი ფორმებიც, სწორედ ამ სფეროში იზადება (რუსულ შრიფტში ამის მაგალითად, “გროტესკი” გამოდგება).

ასე რომ, შრიფტი ისტორიული ტრანსლატორიცაა და დამწერლობითი კულტურის ერთგვარი “შემნახავიც”...

გუტენბერგიდან მოყოლებული “ნიგნური” შრიფტი ლიტერთა მექანიკურ პროდუქციებას შეეპუა და განსხვავებული ტექსტების კონტექსტში, ერთი და იმავე ნიშნებით მანიპულირებისას, თავად შრიფტის ესთეტიკასა და გრაფიკასაც თავისი ანაბეჭდი დააჩნია.

ასე დაიყო შრიფტის ხელოვნება ორ – “ხელქმნილ” და “მექანიკურ” სეგმენტებად.

არადა, მექანიკური შრიფტიც მხატვრის პირველადი ნახელები არაა?!

ერთსა და იმავე ხელს არ ძალუძს რაგინდარა წარწერის გრავირებაც და ასანყობი შრიფტის პუანსონის დაშტამპვა და მატრიცად გამოყვანა?!

ყველაფერს ხელი შვრება!

და ამ ხელის სა-ხელითვე უქმდება სხვაობა “უნიკალურსა”

carnations of this alphabet.

It is clear that Stalin’s “Soc-realistic Order” has restrained the Georgian book and the Georgian type along.

The brave experiments on the futuristic book of Tiflisi, were “blocked” without a hope.

The futuristic non-linear letter-symbols were put in one line again.

However, the masters continued searching for the magic of letter-symbols;

The Georgians and non-Georgians;

Grigolia and Lansere...

Valerian Gafrindashvili wrote that all cultural rhetoric and erudition is against the names.

And then, towards the ending, he added:

“The words, as slaves will find their Spartacus and will defeat their aristocratic names, but this defeat will be temporary. Every word keeps a hope that it will gain the title some day.”

The title!

“The Georgian Soviet graphics” had its slaves too. They found their Spartacus and defeated the aristocratic letters.

“Plebeian” eidos dominated the Georgian type.

However, just like in theatre, this was a necessary step to be taken to move from the sublime heroic-romantic style to the rhetorics of everyday life.

Willingly or not, Grigolia remained the one to look up to;

He merged the old Georgian type with the classic Western “antiqua” and gave romanticism to the Georgian letter, nevertheless kept its volume and subjectivity.

Immanent linearity of Georgian calligraphy can be sensed in this type, along with modern-style reminiscences.

The classic root remains unchanged.

And this root allows the synthesis of relative garnitures.

The type is the conservative element of a book and it is characterized with the miserliness of innovative forms.

After all, a minor infringement of the symbol proportions was perceived as an artistic precedent.

The slightest deviation from the structure, even just thickening the stroke, was a revolution.

Furthermore, occasional involution with the historic drafts is organic and does not predict archaism, or anachronism.

There is a sophisticated system of alphabet dormant in the basis of type, examined through centuries.


The form, dormant for once and for all...

It is clear that the repertory of the types are limited.

However, the title type is relevantly open to the variability of approved prototypes and new forms of types are born in this very sphere (the “grotesque” could serve as an example in Russian type).

Thus, the type is a historic translator and a keeper of writing culture at the same time...

Starting from Gutenberg, the “book” type adjusted to the mechanical production of letter-symbols and within the context of different texts, while manipulating the same symbols, left its



და “ტირაჟირებულს” შორის.

შრიფტი მოძრავი ასო-ნიშანია და ბუნებრივია, ცოცხალი დამწერლობის “მსგავსად და ხატად” იქმნება იგი.

ხელნაწერი ასო წერითი ტექნიკის თავისებური კვალია და შრიფტის ამა თუ იმ კონსტრუქციაში აპრიორულად მონაწილეობს.

თავდაპირველად, ქართული შრიფტის ზომაც “ნებისმიერი” იყო და ასე ვთქვათ არაინსტიტუციონალური.

1947 წელს იქმნება “ქართული შრიფტის კომიტეტი”.

აქედან იწყება ქართული შრიფტის კლასიფიკაცია, დგინდება ერთიანი მეტროლოგიური პარამეტრები და გარნიტურთა სისტემა.

50-იანი წლებიდან კი, თანდათან მკვიდრდება ნახატი, საზულობითა და ზომით განსხვავებულ შრიფტთა – სატექსტოთა, სატიტულოთა (ანუ სასათაუროთა) და სააქციდენციოთა – მდიდარი რეპერტუარი.

ნებისმიერი შრიფტი, აწყობილიც, დაწერილიც და დახატულიც, ნიგინის “საშენი მასალაა”, ნიგინის განუყოფელი ელემენტია;

ტექსტის ერთადერთი მატარებელი და ტრანსლატორი...

mark on the aesthetic and graphics of the type.

That’s how the art of type was divided into “manual” and “mechanical” segments.

But, isn’t the mechanical type the work of an artist as well? Cannot the same hand engrave an inscription and the stamp matrix for the type at the same time?

Everything is done by a hand!

And in the name of this very hand the difference between “unique” and “circulated” disappears.

The type is a moving letter-symbol and it comes natural that it is created just “in the image and after the likeness” of a live writing.

The handwritten letter is the trace of a writing technique and it a priori takes part in constructing the particular construction of type.

At the beginning, the Georgian type size could be just any and it was, so to say, noninstitutionalized.

In 1947, the “Committee of Georgian Type” was created.

That is where the classification of Georgian type starts from, single metrological parameters and the garniture system is set.

Starting from the 50s, a rich repertory of types, with various tracings, outlines and sizes, settles gradually.

შრიფტთან, როგორც ხელოვნებათა წიგნისმიერი სინ-
თეზის ერთადერთ მონაწილესთან მიდგომა, მეტისმეტად
მძიმე ტვირთად შეიძლება მოგვეჩვენოს.

შენობა მოხატვის გარეშე შეიძლება წარმოვიდგინოთ;
წიგნიც შეიძლება წარმოვიდგინოთ ილუსტრაციის გარეშე;
აი, შრიფტის გარეშე კი, წიგნი არ არსებობს.

შრიფტი, უბრალოდ, დამატება კი არაა რაღაც, მის გარეშე
დასრულებული მთელისა, ანდა, მისი გამდიდრებული
ვარიანტი, არამედ ამ მთელის ორგანული, გნებავთ, აპრი-
ორული ინგრედიენტი.

შრიფტი დამოუკიდებელი მხატვრული ფორმაცაა;
თავისი მორფოლოგიაც აქვს და თავისი სინტაქსიც;
და თავისი სემიოტიკა...

შრიფტს თავისი გენეალოგიაც აქვს და თავისი ისტორიაც.
ასანწყობი შრიფტი წიგნის გარეშეც იქმნება.

“თეთრი მთავრული”;

“შავი მთავრული”;

“დახრილი მთავრული”;

“თხელი მთავრული”;

“ნახევრად მუქი მთავრული”;

საბჭოთა საქართველოშივე იყო:

“ორჯონიკიძე მთავრული”;

“ორჯონიკიძე ჩვეულებრივი”;

“კიროვი თხელი”;

“კიროვი მრგვალი”;

ზემოთ რუსული შრიფტი “Гротеск“ – ვახსენე.

და დღეს ამგვარი დასათაურებანი გროტესკულადაც იკ-
ითხება.

აქამომდე შემორჩა:

“დუმბაძე მთავრული”;

“გორდეზიანი ჩვეულებრივი”...

“დღიური მუშის როლს” ასრულებდა ანტონ დუმბაძე ქარ-
თულ შრიფტულ მეურნეობაში.

“სამუშაო შრიფტებზე” მუშაობდა ბენო გორდეზიანიც;

ყოფილი “ჰაშორიესოსიტი”, კომუნისტების მიერ დამფრთ-
ხალი – ჩვეულებრივ “ასოისტად” შემორჩა...

ქველ ხელნაწერ წიგნებში შრიფტი წიგნთან ერთად იბადე-
ბოდა;

გადანერის პროცესშივე ითხზებოდა...

და მაინც, ამ სპონტანურად გამოყვანილ ნიშანთა მიღმაც
იგულისხმება წიგნური ხელრთვის თვითკმარი და მყარი
სისტემები.

პალეოგრაფია სწავლობს ამ სისტემებს.


შრიფტის ყველა ფორმა მარტოოდენ წიგნისთვის (და
წიგნში) არ იბადება და არც ცოცხლობს.

შრიფტი არქიტექტურაშიც “მუშაობს”, რეკლამაშიც და
ეტიკეტშიც...

შრიფტით “ინერება” აფიშა და ფირნიში.

წიგნის შრიფტი კი, ჯიუტად ინარჩუნებს წიგნის ხელოვ-
ნების ფუნდამენტურ ფორმას; და არანაგნურ შრიფტე-
ბზეც ახდენს გავლენას.

ისეც ხდება, ამგვარი შრიფტები დაუკითხავად რომ შეიჭრებიან



იქმნის
წიგნის 1839-ს, ტფილისში.

კარი პირველი.

შეემს- სიღრ, უნ ხშირს საშესხს

შე შეიქმნა ჩემს სამუშაოს!

გვითმხივეს, უნ უბუი რე დოეს

საქმიანებსა ჩიანი შეიქმნა!

მხეჯე რან, უფაქ, მტე რანი

ჩ ნახტყან უენი ქუეჩანი!



Any type, whether constructed, written or drawn, is the “building
material” for the book, an inseparable element of the book;
The only carrier of the book, and its translator too...

We can imagine a book without illustration;
However there is no book without type.

The type is not some kind of an addition to something that is al-
ready whole, or the latter’s enriched version, it is the organic and
a priori ingredient of this “whole”.

The type is also an independent artistic form;
It has its own morphology and its own syntax; its own semiotics too...
It has its own genealogy and history.



“ბიბლუსში” და რეპრეზენტატიული მონუმენტისა თუ
თვალისმომჭრელი აფიშის, “ბატიფეხია” განცხადებისა
თუ, ინტიმურ-საიდუმლო ბარათის (“ან საყვარელსა მიუ-
წერს გულამოსკენილი მტირალი”) ვიზუალური დისკურსით
მსჭვალავენ მის სტილისტიკას.

ასე რომ, შრიფტი არა მხოლოდ აუცილებელი ელემენტი
წიგნისა, არამედ გრაფიკული ხელოვნების ავტონომიური
რაობაც.

შრიფტი თავის თავს პარ ეხცელებენც წიგნში ინახავს
(თუ გადა-ინახავს); თავის სივრცულ, პლასტიკურ, სტი-
ლურ თუ ექსპრესიულ თვისებებს წიგნში აუნჯებს.
და ნებისმიერი სინთეზისამებრ, აქედანვე იღებს დასაბამს
შრიფტის უშუალო (თუ გაშუალებული) რელაციები ანან-
ყოზ (ან კი, აკრეფილ) ტექსტთან; ამ ტექსტის გრაფიკას-
თან და სივრცულ კომპოზიციასთან.

საგამფორმებლო ფუნქციებს ქართული შრიფტიც ვერ-
ტიკალისა და ჰორიზონტალის სემიოზისში ავლენს.
ჰორიზონტალი – უწყვეტი კონტინუალური მოძრაობის
ხაზის ნიშანია;

და ვერტიკალი, როგორც ნიშანი დისკრეტული, და შე-
ჩერებული ხაზისა.

ჰორიზონტალი სტრიქონის “იმიჯს” შე-ადგენს.

ასე მივყვებით ტექსტს...

ასე ვმოძრაობთ სტრიქონთა გასწვრივ...

გასწვრივ და კვალდაკვალ...

ვერტიკალი სვეტის მთლიანობის ილუზიას აღძრავს.

ეს – სტატიკური აღქმისას.

სტრიქონ-სტრიქონ კითხვისას კი, ქვემოთ და ქვემოთ
ვეშვებით.

ვერტიკალური დაღმასვლა, თითქოსდა დინების სანი-
ნაღმდეგო მოძრაობაცაა; ნებისმიერ დროს შეიძლება
დავაცოვნოთ, ანდა სულაც გავწყვიტოთ.

ასე რომ, ვერტიკალი შრიფტში შეჩერებასავით მუშაობს.
ტიტულისა და სვეტის ვერტიკალიც – წიგნშიც და ასოს
ვერტიკალიც, ასოსავე შტამში შეჩერებად აღიქმება.

ამ ორი ძირეული მომენტის გაფორმებაა მთავარი შრიფტში.
მეორე მხრივ, ასო-ნიშნები რალაცნაირად ბაძავენ ფონე-
ტიკურ “ჟესტებს” და ამგვარი მიმეტიზმი ქართულ გრაფე-
მათა ქართულ მხაზველობაშიც იგულისხმება.

ხმოვნებსა და თანხმოვნებს განსხვავებული ხმოვან-
ხედვითი რიგი აქვთ.

და ამ გაგებით, სტრიქონის მოდელირებისას, თანხ-
მოვნების ვერტიკალიზმთან ხმოვანთა “ლიაობის” სიგ-
ნიფიკაციაც ხდება.

ყოველ ასოს თავისი კონტრუქცია აქვს;

თავისი ჩონჩხით და თავისი ხორციით.

ამ კონსტრუქციის მნიშვნელობა იმაშია, რომ ვერტიკალუ-
რად დაყენებული ასო წინდანინ მიიწევს.
ჰორიზონტისაკენ...

ჟესტები კი, დიაგონალურად იკვეთებიან;

ზევით და ქვევით..

და ასოც, თითქოსდა ახალ-ახალ ნაბიჯებს დგამს;



წარმოვიდგინოთ, რომ ხელებსაც ამოძრავებს. ერთი შტამპიდან მეორეზე გადაცემული ჟესტები ცალკეული სიტყვის გამოსახულებასაც და მთლიან გრაფიულ პროპოზიციასაც ორგანიზმად აყალიბებს. ასე ესახსრება გრაფიკული რიტმი ვერბალურ რიტმს. ახლა, შრიფტის კონსტრუქცია: ასო შავი სილუეტია და ამ შავის მოდელირებით იძენს ქრომატულ იერს. შავის მოდელირებითვე იცვლება ასოს კონსტრუქცია და შრიფტად გვევლინება.

